როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. 11 აგვისტოს ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამთავრეს ტურნე.

თბილისელთა მოწინააღმდეგე იყო დანიის ერთ–ერთი საუკეთესო საკლუბო გუნდი „ესბერგი“. მასპინძლებმა მძლავრი შეტევით დაიწყეს თამაში და მეკარე კოტრიკაძეს მოუხდა რამდენიმე ძნელი ბურთის აღება. მცირე ხანს შემდეგ „დინამოს“ კართან ბურთი მოწოდებულ იქნა კუთხურიდან და საჯარიმო მოედანზე შექმნილ არეულობაში „ესბერგის“ თავდამსხმელებმა შეძლეს ანგარიშის გახსნა – 1:0. ტაიმი დამთავრდა ამ შედეგით.

შესვენების შემდეგ, მე–10 წუთზე, მესხი შესანიშნავად გავიდა თავის ფლანგზე, ზუსტად ჩააწოდა ცენტრში და კალოევმა თავით გაიტანა საპასუხო ბურთი – 1:1.

22–ე წუთზე ბარქაიას გარღვევა დამთავრდა გატანილი ბურთით, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა. ამას მოჰყვა დანიელთა კონტრიერიში, მასპინძელთა თავდამსხმელმა ბერტელსენმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი – 2:1. და მაინც ბარქაიამ დათუნაშვილის მოწოდებიდან შეძლო აღედგინა წონასწორობა – 2:2.

13 აგვისტო, 1963 წ.